



შ. კობოშვილი. ცეკვა საივო. 1939
Sh. Koboshvili. Dance Saivo. 1939



www.museum.ge
facebook.com/GNMuseum



ქალის თავსამკაული. XIX ს.
Head Jewellery. 19th C.



ბოხჩა. XIX ს.
Bundle. 19th C.




ქალის ზედაკაბა. XIX ს.
Woman's dress. 19th C.



დ. გველესიანი. მოვაჭრენი გზაში. 1936
D. Gvelesiani. Traders on the road. 1936



შ. კობოშვილი. ებრაელი სოფდაგარი. 1939
Sh. Koboshvili. The Jewish merchant. 1939



შ. კობოშვილი. ებრაელი სოფდაგარის ცოლი. 1939
Sh. Koboshvili. Rich Jewish merchant's wife. 1939



შ. კობოშვილი. ქარავანი. 1940
Sh. Koboshvili. Caravan. 1940

საქართველოს ეროვნული
მუზეუმი



Georgian National
Museum

ებრაული კულტურული მემკვიდრეობა
საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებში

Jewish Cultural Heritage in the Collections of
Georgian National Museum



ქართულ ებრაულთა ეთნოგრაფია

Georgian Jews Ethnography



თბილისი 2015 Tbilisi

საქართველოში ებრაელი ხალხის ისტორია ათასწლეულებს ითვლის. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ებრაელთა პირველი მიგრაცია და მათი მცხეთაში დამკვიდრება ძვ. წ. VI საუკუნით თარიღდება. შემდგომშიც არ შემწყდარა ებრაელთა მიგრაცია და მათი დასახლება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მიუხედავად თანამედვე ასიმილაციისა, ქართველმა ებრაელებმა საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა საკუთარი რელიგია, ტრადიციები და თვით-მყოფადი კულტურა.

საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი თბილისში 1933-1951 წლებში ფუნქციონირებდა. საქართველოში ებრაელთა კულტურისა და ყოფის ამსახველი სამუზეუმო კოლექცია რეგიონალური სამეცნიერო-ეთნოგრაფიული ექსპედიციების საფუძველზე შეგროვდა. აქ წარმოდგენილია ეთნოგრაფიული, რელიგიური თუ რიტუალური დანიშნულების ნივთები, ხელნაწერები, სამოსი, ქსოვილები, აქსესუარები, ასევე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, რომლებიც 1930-იან წლებში მუზეუმისთვის საგანგებოდ შეიქმნა. მალომ კობოშვილისა (1876-1941) და დავით გველეისანის (1890-1949) ნამუშევრებში განსაკუთრებით საინტერესოდ და ხატოვნადაა გადმოცემული ქართველ ებრაელთა ცხოვრება.

1951 წელს, მუზეუმი დაიხურა, როგორც სიონიზმის კერა, ხოლო სინაგოგის შენობის კონფისკაციის შემდგომ, კოლექციები გადანაწილდა სხვადასხვა მუზეუმში, სადაც ეს ექსპონატები დღემდეა დაცული. 2014 წელს აღდგენილ დავით ბააზოვის ებრაელთა ისტორიის მუზეუმის ექსპონიციამ ამ კოლექციის ნაწილია გამოფენილი.

შ. კობოშვილისა და დ. გველეისანის ნამუშევრებში მრავალფეროვნადაა გაშუქებული ქართველ ებრაელთა ეთნოგრაფიული მოტივები, ყოფითი, ცეკვის სცენები. სამოსის, აქსესუარების, ქსოვილების, რიტუალური დანიშნულების ნივთების მდიდარი კოლექცია აცოცხლებს XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისის ებრაელთა ეთნოგრაფიულ თავისებურებას, ასიმილაციის ნიშნებთან ერთად ნაციონალურ თვითმყოფადობას. განსაკუთრებით საინტერესოა ებრაული სამოსი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დასახლებულ ებრაელებს განსხვავებული აქვს. ახალციხეში მცხოვრები ებრაელების ყოფაში აშკარად იგრძნობა რეგიონისათვის დამახასიათებელი აღმოსავლური ელფერი, როგორც ფერთა გამაში, ასევე ტრადიციამში. საქართველოში, ებრაელები ისტორიულად მეტწილად ვაჭრობით იყვნენ დასაქმებულნი. კობოშვილისა და გველეისანის შემოქმედებაში ასახულია ვაჭრობის თემაზე შექმნილი ისტორიული თუ მხატვართა თანადროული ცხოვრებიდან აღებული სიუჟეტები.

History of Jewish people in Georgia commenced thousands of years ago. According to “Kartlis Tskhovreba” (Life of Kartli), a collection of Georgian chronicles, compiled in the Middle Ages, the first migration of Jews and their settling in Mtskheta was in the 6th century BC. Later migration of the Jews to Georgia has taken place several times and they settled in different regions.

Irrespective of certain assimilation, Georgian Jews have maintained their religion, traditions and originality for many centuries.

Historical-ethnographic museum of Georgian Jews operated in Georgia in 1933-51 period. Its collection was created on the basis of regional scientific-ethnographic expeditions. Collection of the museum illustrates the culture and everyday life of the Jews in Georgia. It includes the ethnographic, religious, ritual items, manuscripts, garments, cloths, accessories, paintings and drawings depicting life of Georgian Jews by the artists Shalom Koboshvili (1876-1941) and David Gvelesiani (1890-1949) created especially for the museum in 1930-ies. In 1951 the museum was closed as the center of Zionism and after seizure (confiscation) of Synagogue building the collection was distributed (moved) to different museums and the exhibits are maintained (kept) there up to present. Part of these collections is represented on the exhibition in the David Baazov museum of Jewish History after it's re-establishment in 2014.

Sh. Koboshvili's and D. Gvelesiani's works provide versatile ethnographic motifs of Georgian Jews, the scenes of their life, dances. Vast collection of the garments, accessories, cloths, ritual items depict ethnographic characteristics of the Jews of late 19th and early 20th centuries, together with the signs of assimilation, their national originality. Jewish garments are of particular interest. They differ in the different regions of Georgia. In the life of Jews settled in Akhaltsikhe the oriental influence characterizing the entire regions is clearly seen, as in the colors, also in the traditions. In Georgia, the Jews were mostly engaged in trade. Art of Koboshvili and Gvelesiani contains the historic and contemporary pictures of trade.



შ. კობოშვილი. მდიდარი ებრაელის ცოლი მიდის აბანოში. 1940
Sh. Koboshvili. Rich Jewish merchant's wife goes to the bath. 1940



იჩლული-ზედაკაბა. XIX ს. Blouse. 19th C. იჩლული-ზედაკაბა. XIX ს. Blouse. 19th C.



შ. კობოშვილი. ჭორიკანა ქალები. 1939
Sh. Koboshvili. Gossip-mongers. 1939



დ. გველეისანი. ებრაელი ქალი ჩიხტიკოპი. 1936
D. Gvelesiani. Jewish woman with chikhtikopi. 1936



ბაღდადი
Bagdad



აბანოს ქოში (ქალის). XIX ს.
Sandals for women (for bath). 19th C.



ბოხრა. XIX ს.
Bundle. 19th C.



აბანოს ქოში (ქალის). XIX ს.
Sandals for women (for bath). 19th C.



ქალის ქოში. XIX ს.
Sandals for women. 19th C.



დ. გველეისანი. მწვრილმანე სოფლად. 1936
D. Gvelesiani. Chandler in the village. 1936